ავტორი: რეზი ქოიავა

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტრანსფორმაცია ისტორიულ პერსპექტივაში

1970-1980-იან წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები ეთნონაციონალისტურ იდეოლოგიას მხოლოდ ძალაუფლების მოსაპოვებლად არ იყენებდნენ. ისინი აპელირებდნენ იმ წარმოდგენებით და გრძნობებით, რომლებიც მაშინ ეთნიკურად ქართველებში აქტუალური იყო – საქართველოს დაშლისა და ეთნიკური ქართველების დემოგრაფიული კლების შიშით. გამსახურდიას აზრით, ქართველი ხალხი საკუთარ ქვეყანაშივე იყო შევიწროებული[1] და შესაბამისად, ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი თავის ანტიპოდად რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს მოიაზრებდა. ქართული ნაციონალიზმის აღზევებაში არ უნდა გამოირიცხოს იმ სიღარიბისა და უთანასწორობის როლიც, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამკვიდრდა. ნაციონალიზმის რადიკალიზაცია გარკვეულწილად რეაქცია იყო პოსტსაბჭოთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისზე.

თავის მხრივ, ქართული ნაციონალიზმის აღზევების და „პერესტროიკით“ გამოწვეული ძალაუფლებრივი მექანიზმების შესუსტების ფონზე საკმაოდ აგრესიული სახე მიიღო აფხაზურმა და ოსურმა ნაციონალურმა პროექტებმაც. 1990 წელს იტალიელ ჟურნალისტთან მიცემულ ინტერვიუში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა აცხადებდა – „ჩვენ არ ვცხოვრობთ საქართველოში, ჩვენ ვცხოვრობთ აფხაზეთში“.[2] პარალელურად სამხრეთ ოსური „განმათავისუფლებელი მოძრაობის“ მთავარ იდეად გამოცხადდა საქართველოს მხრიდან „კულტურულ და პოლიტიკურ დისკრიმინაციასთან ბრძოლა” და „ოსი ეთნოსის ისტორიული ერთიანობის აღდგენა“.[3]

ადგილობრივმა ელიტებმა ენერგიულად დაიწყეს ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობის მობილიზება და თვითვიქტიმიზაცია, „ჩაგრულ უმცირესობად“ ყოფნაზე აპელირებით. ნახევრად გასამხედროებული აფხაზი და ოსი ლიდერები პოზიციების გასამყარებლად აგრესიულ რიტორიკას, რუსეთის მხარდაჭერასა და თბილისის შოვინისტურ განცხადებებს იყენებდნენ. რეიტინგის გასაზრდელად და ფინანსური რესურსების დაგროვების საშუალებად ისინი საკუთარი ნაციონალისტური ნარატივის გაძლიერებას განიხილავდნენ.

---

[1] ჯონსი ს., “საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი; თბილისი, 2013

[2] Зантариа В., Наш Владислав, Сухум, 2010, С. 34.

[3] Жирохов М., Семена распада: войны и конфликты на территории бывшего СССР, БХВ-Петербург, Санкт-Петербург, 2012, С. 392.

ქართული, აფხაზური და ოსური ეთნონაციონალიზმის აღზევებისა და ელიტების კრიზისის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში რამდენჯერმე მაინც მოხერხდა კონსენსუსსა და მშვიდობაზე ორიენტირებული რაციონალური იდეებისა და პოლიტიკის დაწინაურება, რომელსაც დღევანდელი გადმოსახედიდან, გარკვეულწილად შეეძლო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების პრევენცია. სამწუხაროდ, ამ იდეებს ყველა მხრიდან პოლიტიკური ნების არქონით, უნდობლობით და შიშით უპასუხეს.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია 1992-2008 წლებში (სამხრეთ ოსეთის მიმართულება)

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ თბილისი უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა: მას უნდა ებრძოლა მშვიდობის დამყარებისთვის, ნდობის აღდგენისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის, მაშინ, როდესაც ქვეყანაში მწვავედ იდგა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა, შიდა კლანური დაპირისპირება და სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, რასაც რეგიონში რუსეთის ფედერაციის მხრიდან გავლენების მოპოვებისთვის აქტიური ბრძოლა ემატებოდა.

სამხრეთ ოსეთის მიმართულებით დაწყებული სამშვიდობო პროცესი, რომელსაც საფუძველი სოჭში ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის მიერ ხელმოწერილმა შეთანხმებამ – „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“[4] ჩაუყარა, საქართველოსთვის საკმაოდ იმედიანად გამოიყურებოდა, მაგრამ აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვამ და სამხედრო დაპირისპირების დაწყებამ ოსეთის მიმართულებით ინიცირებული სამშვიდობო პროცესი ერთი წლით გააჩერა.[5]

მოლაპარაკებები 1993 წლის სექტემბერში განახლდა. ამავე პერიოდში გააქტიურდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია (ეუთკ)[6]. ეუთოს აქტიურობამ და ადგილზე მშვიდობის არსებობამ შესაძლებლობების ფანჯარა გახსნა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის დასაწყებად. პარალელურად, ჩეჩნეთში დაწყებული ომის ფონზე, რუსეთი თავს იკავებდა კავკასიაში დაძაბულობის ახალი კერების გაჩენისგან და ცდილობდა სამშვიდობო პროცესისთვის ხელი არ შეეშალა. შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი, რომ მშვიდობის შენარჩუნება თანდათან მშვიდობის მშენებლობაში გადაზრდილიყო.

ამ პროცესის ლოგიკური შედეგი იყო 1996 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების შესახებ ცხინვალის ირედენტისტული სურვილების განელება და სანაცვლოდ თბილისთან

---

[4] ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება. https://old.civil.ge/geo/_print.php?id=19346

[5] თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 2-3

[6] 1995 წლის 1 იანვრიდან ეწოდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ეუთო

მოლაპარაკებების დაწყება.[7] სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერ ლუდვიგ ჩიბიროვსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის სამი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა მომდევნო ორი წლის განმავლობაში.[8] პირისპირ შეხვედრები საკმაოდ ეფექტური გამოდგა, ვინაიდან სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მსხვილ პროექტებთან ერთად დაიწყო სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესიც, ხოლო ბორჯომში 1998 წლის 20 ივნისს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ სიტყვიერი შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული.[9]

1999 წლიდან სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობას კი უკვე ინსტიტუციური სახე მიეცა.[10] 2000 წლის ივლისში, ავსტრიის საკურორტო ქალაქ ბადენში გამართულ მოლაპარაკებებზე ცხინვალმა და თბილისმა ხელი მოაწერეს „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“ შუალედურ შეთანხმებას, სადაც მოხერხდა პოზიციების შეჯერება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიასა და თვითგამორკვევის უფლებაზე და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის უსაფრთხოების გარანტიებზე.[11] სადავო საკითხებად საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიის კონკრეტული ფორმა და რუსეთის, როგორც ხელშეკრულების გარანტორის როლი რჩებოდა.[12] სამწუხაროდ, „ბადენის დოკუმენტს“ მოსალოდნელი პოლიტიკური პროგრესი არ მოჰყოლია. მხარეები 2001 წელს ლუდვიგ ჩიბიროვის მეორე ვადით არჩევას ელოდებოდნენ, რამაც პროცესის გაწელვა გამოიწვია.[13]

თუმცა ცხინვალის რეგიონში მოუგვარებელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე ლუდვიგ ჩიბიროვის პოპულარობა საბოლოოდ დაეცა და 2001 წელს გამართულ არჩევნებში იგი ედუარდ კოკოითთან დამარცხდა, რომლის ხედვები წინამორბედისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა.[14] პარალელურად რუსეთის ხელისუფლებაში მოვიდა ვლადიმირ პუტინი, რომელსაც ბორის ელცინის სამეზობლო პოლიტიკის ფუნდამენტური გადახედვა ჰქონდა გამიზნული. თავის მხრივ, 2002-2003 წლებში ვითარება შეიცვალა შიდა

---

[7] Birch Julian, Ossetia – land of uncertain frontiers and manipulative elites, Central Asian Survey, 18:4, 1999, p.509.

[8] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, ხელშეკრულებიდან აღიარებამდე, 30.08.2013. http://www.soa.gov.ge/

[9] Вечерний Тбилиси, Эдуард Шеварднадзе: Я думаю, что все могло сложиться по-другому, 07.08.2010. http://vechernitbili-si.ru/item.php?id=592

[10] თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 8

[11] Eiff Hansjörg, The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia, OSCE Yearbook, 2008, p. 41

[12] Eiff Hansjörg, The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia, OSCE Yearbook, 2008, p. 41

[13] De Waal Thomas, The Caucasus: An Introduction, Oxford University Press, 2010, p. 145

[14] საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 127

ქართულ პოლიტიკურ არენაზეც, რაც ოპოზიციური ტალღის გაძლიერებაში და „ვარდების რევოლუციაში“ გამოიხატა.

2004 წლისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ადამიანური განზომილება თითქმის მოგვარებულად ითვლებოდა – დევნილების დიდი ნაწილი დაბრუნებული იყო, კონფლიქტის ზონაში ადამიანებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ გადაადგილება და ვაჭრობა. „აჭარის რევოლუციის“ შემდეგ კი ქვეყანაში გაჩნდა განცდა, რომ კონტროლის მარტივად აღდგენა სხვა დანარჩენ ტერიტორიებზეც იყო შესაძლებელი.[15] ამ მიზნით აუცილებელი იყო ძალაუფლების განმტკიცება და ქვეყანაში ე.წ. „ეკონომიკური შავი ხვრელების“ აღმოფხვრა, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ერგნეთის ბაზარი იყო. შედეგად მშვიდობის მშენებლობა სახელმწიფოს მშენებლობის პრიორიტეტულობამ გადაწონა და საქართველოს ხელისუფლებამ ანტიკონტრაბანდული ოპერაციის შემდეგ ერგნეთის ბაზრობა დახურა.[16]

ერგნეთის ბაზრის დახურვამ ადგილზე ვითარება სერიოზულად დაძაბა. აგვისტოს დასაწყისში კი გაჩნდა საშიშროება, რომ ვითარება სრულმასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა.[17] ვითარების საბოლოოდ განმუხტვა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს მოხერხდა, როდესაც ქართველების მიერ დაკავებული სიმაღლეები შერეულ სამშვიდობო ძალებს გადაეცათ.[18] პარალელურად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო ე.წ. „ჰუმანიტარული შტურმი“ ცხინვალზე. კონფლიქტის ზონის მოსახლეობისთვის ეკონომიკური და სოციალური დახმარების პაკეტის შეთავაზებით თბილისი ადგილობრივების გულის მოგებას აპირებდა, თუმცა, ეს მცდელობები ოსებში იაფფასიან პროპაგანდად იქნა აღქმული, რამაც ანტიქართული განწყობები კიდევ უფრო გააძლიერა.[19]

ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზაზე წინდაუხედავი და ეიფორიული გამოდგა და კოკოითის რეჟიმის დასუსტების ნაცვლად მას დამატებითი შიდა ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა შესძინა. კონფლიქტის ზონაში ცეცხლის განახლება საბაბად გამოიყენა რუსეთმაც, რომელმაც 2004 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთში ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგის მისიის მანდატი აღარ გაახანგრძლივა და ადგილზე ეუთოს გავლენა მნიშვნელოვნად შეზღუდა.[20]

---

[15] საქართველოს პარლამენტი, ინფორმაციული ცნობა “ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ, 2006, გვ. 15. http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf

[16] Human Rights Watch, Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, 2009, pp. 18-19. https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf

[17] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 133

[18] International Crisis Group, Georgia: Avoiding War in South Ossetia, Report N°159, 26.11.2004, p. 14

[19] International Crisis Group, Georgia: Avoiding War in South Ossetia, Report N°159, 26.11.2004, p. 14

[20] König Marietta S, Not Frozen but Red Hot: Conflict Resolution in Georgia Following the Change of Government, Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg/IFSH (ed.), OSCE Yearbook 2006, Baden-Baden 2007, p. 87

2004 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტებთან მიდგომების საფუძვლიანი გადახედვა დაიწყო. 2004 წლის 21 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე გამოსვლაზე, მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა წარადგინა,[21] რასაც მალევე სოჭში საქართველოს პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა მოჰყვა. მომდევნო, 2005 წელს კი სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკუთარი სამეტაპიანი ინიციატივის განახლებულ ვარიანტზე ისაუბრა.[22]

საქართველოს პრეზიდენტის იდეებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოჰყვა საერთაშორისო არენაზე. მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო სტრატეგია, იგივე „საგზაო რუკა“ წარადგინა, რომლის მიხედვით კონფლიქტის მოგვარების სამივე ეტაპი თითქმის ერთ წელში, 2006 წლის სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულებულიყო.[23]

მრავალწლიანი კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მოკლე პერიოდის აღება იმთავითვე მიუთითებდა, რომ მთავრობა საკმაოდ ზედაპირულად უყურებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას. მართალია, რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა შემოთავაზებულ გეგმას მხარი დაუჭირეს, მაგრამ კონფლიქტის დარეგულირების მოკლე დროით ჩარჩოზე უარი თქვეს. ამასთან, სამშვიდობო ინიციატივების მიუხედავად, ადგილზე უსაფრთხოება კვლავ მყიფე იყო. ეს ინციდენტები კი პოლიტიკური უნდობლობის გაღრმავებაში პოულობდა გამოძახილს.

2006 წლიდან საქართველოს ნატოსთან დაახლოების ფონზე გაღრმავდა მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური კრიზისი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. „საგზაო რუკით“ გათვალისწინებული ვადების გარშემო შექმნილი გაურკვევლობის ფონზე აშკარა იყო, რომ თბილისში მოთმინება ეწურებოდათ.[24] ამ ყველაფერმა საქართველოს კონფლიქტების თანდათან ქართულ-რუსულ ჭრილში გადაყვანა გამოიწვია. პარალელურად კი საქართველოს მთავრობა 2004 წლის სტრატეგიას დაუბრუნდა და ცხინვალის რეგიონში უკვე არაპოპულარული ედუარდ კოკოითის რეჟიმისთვის ძირის გამოთხრა განაახლა. 2006 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ალტერნატიული არჩევნები გაიმართა. შედეგად, 12 ნოემბერს ცხინვალში აირჩიეს ედუარდ კოკოითი, ხოლო თბილისის მიერ კონტროლირებად ქართულ-ოსურ სოფლებში

---

[21] http://www.un.org/webcast/ga/59/statements/geoeng040921.pdf

[22] https://www.coe.int/T/E/Com/Files/PA-Sessions/janv-2005/saakashvili.pdf

[23] South Ossetia Roadmap Presented by Georgian Prime Minister Zurab Nogaideli to the OSCE Permanent Council in Vienna on October 27, 2005. https://www.gfsis.org/media/download/GSAC/resources/South_Ossetia_Road_Map.pdf

[24] თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 20

დიმიტრი სანაკოევი.[25] ალტერნატიული არჩევნების შედეგების კანონიერების დასადასტურებლად, 2007 წლის მაისში, სოფელ ქურთაში ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია დააარსა, რომლის ლიდერად დიმიტრი სანაკოევი დანიშნა.[26]

პარალელური მთავრობის არსებობა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა. ამგვარი განწყობები ხელს აძლევდა ოს პოლიტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სანაკოევის პრეზიდენტად გამოცხადებით თბილისს სურდა სამოქალაქო დაპირისპირება გაეჩაღებინა, რასაც შემდგომ თავისი ინტერესებისთვის გამოიყენებდა.[27] ცხადი გახდა, რომ ქართველების ამ ნაბიჯმა საპირისპირო შედეგი გამოიღო – ერთი მხრივ, გააძლიერა კოკოითის პოზიციები, მეორე მხრივ კი გააჩინა დაპირისპირების ახალი კერა.[28]

2007 წელს შეიცვალა საერთაშორისო კონტექსტიც, რამაც პირდაპირი გავლენა მოახდინა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე. საქართველოსა და უკრაინაში გაჩნდა იმედი, რომ ნატო აღმოსავლეთით გაფართოებას განაახლებდა და ისინი უახლოეს მომავალში სამოქმედო გეგმას მიიღებდნენ. ამავდროულად დაიწყო მუშაობა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, რასაც მხარს დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა უჭერდა. ეს ორი მოვლენა რუსეთისთვის წითელი ხაზების გადაკვეთას ნიშნავდა, რაც 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლაში იგრძნობოდა.[29] შედეგად, რუსეთმა დაიწყო პროვოკაციების ახალი სერია, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის სამომავლო ტრაექტორია.

აგრესიული რიტორიკის გაძლიერება იგრძნობოდა თბილისშიც, სადაც პოლიტიკური კრიზისის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობა იყო „მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი“ და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რამდენიმე თვეში ამ პრობლემას მოაგვარებდა. მან ასევე დასძინა, რომ „რუსებს რამდენჯერმე წამოცდათ, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ“.[30]

---

[25] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 141

[26] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II, გვ. 142

[27] International Crisis Group, Georgia's South Ossetia Conflict: Make Haste Slowly..., p. 6.

[28] International Crisis Group, Georgia's South Ossetia Conflict: Make Haste Slowly, p. 8.

[29] http://en.kremlin.ru/events/president/tran-scripts/24034

[30] სააკაშვილი მიხეილ - სამხრეთ ოსეთი სულ ცოტა თვეების საკითხია, Civil.ge, 04.12.2017. http://www.civil.ge/geo/article.php?id=16864

თებერვალში კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აპრილში, მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის წარუმატებელი ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, რომელზეც ის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებას ელოდა, რუსეთმა მორიგი „სადამსჯელო ღონისძიებების“ გატარება დაიწყო. ადგილზე უსაფრთხოების მექანიზმების სრული მოშლისა და ორმხრივი ცეცხლის ფონზე, საგანგებო მოლაპარაკებების მცდელობები ჩაიშალა.[31] 7 აგვისტოს ღამეს კი შეტაკებები სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია 1992-2008 წლებში (აფხაზეთის მიმართულება)

ცხინვალის რეგიონისგან განსხვავებით, აფხაზეთში ომისშემდგომი ვითარება ბევრად უფრო რთული და კომპლექსური იყო. 13 თვიანი კონფლიქტი საქართველოს 200 000-ზე მეტ დევნილად, ათასობით დაღუპულ და დაშავებულ ადამიანად და მის ერთ-ერთ ტერიტორიულ ნაწილზე კონტროლის დაკარგვად დაუჯდა.

ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესს საფუძველი 1993 წლის მიწურულს, გაეროს ინიციატივით ჩაეყარა.[32] მის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე ქართველებმა და აფხაზებმა არაერთი ვალდებულება აიღეს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა, ადგილზე არსებული მშვიდობა საკმაოდ მყიფე იყო და პარტიზანული შეტაკებები კვლავ გრძელდებოდა. ამის აღმოსაფხვრელად, 1994 წლის 14 მაისს, მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, რომელიც პოლიტიკურად გამოირჩეოდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის დამტკიცებით.[33] მალევე გაერომ გააფართოვა UNOMIG-ის მანდატიც, რომელსაც დსთ-ს სამშვიდობო ძალების მუშაობისა და მოსკოვის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა.[34]

ადგილზე სტაბილურობისა და პოლიტიკური ნდობის აღდგენას სამშვიდობო ძალებმა ხელი ვერ შეუწყო, რასაც რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. რუსეთი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სამშვიდობო კონტიგენტისთვის ჯარის გამოყოფის სურვილი გამოთქვა.[35] სამშვიდობო ოპერაციის ლეგიტიმურობის პრობლემა დადგა, რადგან ადგილზე

---

[31] Cornell Svante & Starr Frederick , The Guns of August 2008: Russia's War in Georgia,Routledge, 2009, p. 149

[32] ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ჩარჩოს ანალიზი, 2008, გვ.4

[33] Cohen Jonathan, (ed.), A question of sovereignty: The Georgia-Abkhazia peace process, Accord, Vol. 7, Conciliation Resources, 1999, p. 66-69

[34] United Nations Peacekeeping, United Nations Observer Mission in Georgia, https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/

[35] ყოლბაია ვახტანგ, სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების კონტექსტში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2009. გვ. 10

სტაბილურობა უნდა დაეცვა იმ სახელმწიფოს, რომელსაც თბილისი კონფლიქტის მხარედ აღიქვამდა. პრობლემას წარმოადგენდა ქართული არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების აგრესიული ქმედებები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ.[36]

1995 წელს კი დაიწყო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დრამატული სერია. 1995 წლის 22 ივლისს ხელმოწერილი ოქმის მიხედვით, მხარეები თანხმობას აცხადებდნენ ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნასა და ძალაუფლების გადანაწილებაზე. მოგვიანებით აფხაზებმა თავისი ხელმოწერა უკან წაიღეს, რის გამოც მათ დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ (ბელარუსის გამოკლებით) ეკონომიკური და სამხედრო სანქციები დაუწესა.[37]

სამშვიდობო პროცესის მორიგი საკვანძო პერიოდი 1997 წელს დადგა, როდესაც თბილისმა და სოხუმმა რუსეთის შუამავლობითა და გაეროს ეგიდით შეიმუშავეს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა“ ახალი ოქმის პროექტი.[38] ამჯერად, დოკუმენტში „ერთიანი“ სახელმწიფოს იდეასთან ერთად გაჩნდა „საერთო“ სახელმწიფოს კონცეფციაც, რაც მისი ბუნდოვანებისა და პრაქტიკული მაგალითის არარსებობიდან გამომდინარე თბილისში პოპულარული არ ყოფილა. თბილისი ენთუზიაზმით არ უყურებდა შეთანხმების შესრულების გარანტად რუსეთის ყოფნასაც და საბოლოოდ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარიც განაცხადა.[39]

1997 წელს მოხდა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის მრავალმხრივი ინსტიტუციონალიზაცია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პრიმაკოვის ინიციატივით თბილისში გაიმართა ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა.[40] გაეროს ხელშეწყობით, ჩამოყალიბდა ორმხრივი საკოორდინაციო კომისია ზურაბ ლაკერბაიას ხელმძღვანელობით, რომელიც თბილისსა და სოხუმს მცირე ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა.[41] ნოემბერში კი გაეროს ეგიდით საფუძველი ჩაეყარა „ჟენევის პროცესს“.

---

[36] Cornell Svante, Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus, RoutledgeCurzon, London and New York, 2001, p. 174

[37] Gegeshidze Archil, The isolation of Abkhazia: A failed policy or an opportunity? Accord, Vol.19, Conciliation Resources, 2008

[38] “ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა“ ოქმის პროექტი. 18.06.1997. http://rrc.ge/law/MorigAfxProt_18_06_1997_Q.htm?lawid=2074&lng_3=ge

[39] ყოლბაია ვახტანგ, სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების კონტექსტში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2009. გვ. 12

[40] Anchabadze George, Georgia and Abkhazia: Lost opportunities up until 2008. In EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, International Alert, 2010, p. 9

[41] Stewart Susan, The Role of the United Nations in the Georgian-Abkhazian Conflict, Journal on ethnopolitics and minority issues in Europe (2003) 2, p. 16

ყველა ამ ძალისხმევის მიუხედავად, 1995-1997 წლები ძირეული ცვლილებების მომტანი მაინც არ აღმოჩნდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1. საქართველოში ფეხი მოიკიდა მოსაზრებამ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით იყო შესაძლებელი, რაც თბილისს მუდმივად გარე დახმარების მოლოდინში ამყოფებდა. 2. სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტისა და კონტროლის მექანიზმების არარსებობის ფონზე ხშირად მიღწეული წარმატებები ცალკეული ადამიანებისა და შეიარაღებული დაჯგუფების აგრესიული ქმედებების მსხვერპლი ხდებოდა. 3. ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტის უკომპრომისობა კი სულ უფრო აუცხოებდა მათ ერთმანეთისგან, ხოლო ყველაზე რთული საკითხის – ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრა პირველ ეტაპად განიხილებოდა, რაც ცალსახად არასწორად შერჩეული მოლაპარაკებების ტაქტიკა იყო.

სამშვიდობო პროცესის პირველ ფაზაში მიღწეული გარკვეული წარმატებები კი მთლიანად დაიჩრდილა 1998 წლის გაზაფხულზე, როდესაც გალის რაიონში ქართველ პარტიზანებსა და აფხაზებს შორის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ეს მოვლენა აფხაზეთში შეუქცევადი პროცესების დასაწყისი გახდა, ვინაიდან მან ქართველებსა და აფხაზებს შორის უნდობლობის უფსკრული გააღრმავა. დაიწყო აფხაზების პოზიციების რადიკალიზაცია, რაც 1999 წლის ოქტომბერში „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტის“ დე-ფაქტო მიღებითა და დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებით დაგვირგვინდა.

2000 წელს აფხაზეთში დაწყებულმა სამხედრო პროვოკაციებმა კულმინაციას 2001 წლის სექტემბრის ბოლოს მიაღწია, როდესაც ქართველების მხარდასაჭერად 400-მდე მებრძოლის თანხლებით ჩეჩენი სავალე მეთაური რუსლან გელაევი კოდორის ხეობაში შევიდა.[42] „გელაევის რეიდმა“ და განახლებულმა შეტაკებებმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის UNOMIG-ის ცხრა დამკვირვებლის.[43] მომდევნო დღეებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა რუსეთის სამშვიდობო ძალებს დააკისრა და მათი საერთაშორისო კონტიგენტით ჩანაცვლება მოითხოვა. 2000-2002 წლებში ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესისთვის კრიზისული პერიოდი დადგა, რომლის ერთადერთი პოზიტიური ნაწილი, ნდობის აღდგენის შეხვედრებთან ერთად, ე.წ. „ბოდენის დოკუმენტის“ გამოქვეყნება იყო.[44] სამწუხაროდ, მხარეებს კომპრომისისთვის პოლიტიკური ნება ამჯერადაც არ აღმოაჩნდათ და „ბოდენის დოკუმენტი“ სოხუმმა და თბილისმა განსახილველად არ მიიღეს. 2003 წლის ნოემბერში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და ახალი ხელისუფლების მოსვლამ კი

---

[42] ლიკლიკაძე კობა, ემზარ კვიციანის მითის დასასრული, რადიო თავისუფლება, 30.07.2006. https://www.radiotavisupleba.ge/a/1548096.html

[43] Georgia Helicopter Shooting Still Shrouded in Mystery, Eurasianet, 07.12.2001. http://www.eurasianet.org/departments/qanda/articles/eav120801.shtml

[44] Boden Dieter, 10 years after the peace plan, Democracy&Freedom Watch, 20.10.2011. http://dfwatch.net/10-years-after-the-peace-plan-95247-894

სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა შექმნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარშემო.

2004 წლის იანვარში საქართველოს ხელისუფლების ცვლილებამ სოხუმში ახალი მოლოდინები და ოპტიმიზმი გააჩინა. ედუარდ შევარდნაძე ომის დაწყებასთან პირდაპირ ასოცირდებოდა და მისი პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება თავისთავად შესაძლებლობების ფანჯრის გახსნაზე მიუთითებდა. მართლაც, 2004 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომელსაც სოხუმზე პოზიტიური გავლენის მოხდენა შეეძლო. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა გიორგი ხაინდრავა, რომელსაც აფხაზეთში გარკვეული სოციალური კაპიტალი გააჩნდა; დაიწყო აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მყოფი ქართული პარტიზანული დაჯგუფებების დევნა და დაპატიმრება; 26 მაისს კი მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებს და ოსებს მშობლიურ ენაზე მიმართა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა.[45]

ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის სრულად დაწყება 2005 წელს მოხერხდა, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის პოსტზე ვლადისლავ არძინბა სერგეი ბაღაფშმა ჩაანაცვლა, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა ირაკლი ალასანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში პირად წარმომადგენლად დანიშნა.[46] ამით საბოლოოდ შეიკრა ხაინდრავა-ალასანიას „ტანდემი", რომელიც ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს სათავეში ჩაუდგა.

მოლაპარაკებების საკითხებს შორის დაწინაურდა უსაფრთხოების გარანტიების პრობლემა. 12 მაისს გალში გამართულ შეხვედრაზე ხაინდრავამ და აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომლის მიხედვით მხარეები 1993 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების მიმართ ერთგულნი რჩებოდნენ და დამატებითი შეხვედრის გამართვასაც აპირებდნენ.[47] თუმცა, საქართველოს მთავრობაში თვალშისაცემი გახდა ე.წ. „ქორებისა და მტრედების" დაპირისპირება, რომლის ერთ მხარეს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყვნენ, ხოლო მეორე მხარეს კი – ირაკლი ალასანია და გოგა ხაინდრავა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ოფიციალური შეკრებების პარალელურად საკმაოდ დიდ როლს სამოქალაქო დიალოგის ფორმატები თამაშობდა, მათ შორის განსაკუთრებით – შლაინინგის პროცესი. ურთიერთობის გაღრმავებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 2006 წლის 29 მარტს ირაკლი ალასანიასა და სერგეი ბაღაფშის შეხვედრა სოხუმში, სადაც სამომავლოდ ძალის არგამოყენებასა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან ერთად, მხარეები საკოორდინაციო საბჭოს

[45] Haindrava Ivlian, Conflict resolution policies before August 2008. In Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, p. 15
[46] http://www.civil.ge/geo/article.php?id=11403
[47] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 13.07.2005

აღდგენაზეც შეთანხმდნენ, რომელიც 2001 წლის შემდეგ არ შეკრებილიყო.[48] 2006 წლის 15 მაისს, ახლად აღდგენილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე სერგეი შამბამ შეხვედრამდე ხუთი დღით ადრე გამოქვეყნებული აფხაზური სამშვიდობო გეგმა – „მომავლის გასაღები“ წარადგინა,[49] რომელშიც, ერთი მხრივ, აფხაზები თანამშრომლობისთვის მზადყოფნას აცხადებდნენ, ევროპასთან დაახლოებას ცდილობდნენ და ირიბად იმასაც აღიარებდნენ, რომ 1999 წლის ე.წ. რეფერენდუმში ქართველ დევნილებს ხმის მიცემის უფლება არ მიეცათ, თუმცა, მეორე მხრივ, ისინი კვლავ მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის ცნობას და თანასწორუფლებიან დიალოგს. არსებობდა მოლოდინი, რომ სერგეი შამბას ასევე მიხეილ სააკაშვილი შეხვდებოდა, თუმცა, ეს უკანასკნელი დემონსტრაციულად სენაკში სამხედრო ბაზის დასათვალიერებლად გაემგზავრა.[50] ეს ნაბიჯი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი საბოლოოდ „ქორების“ გავლენის ქვეშ მოექცა.

ამაზე მიუთითებდა ხაინდრავა-ალასანიას გუნდის დაშლა და პრეზიდენტის მიერ კონფლიქტების დარეგულირების პროცესის სრული მონოპოლიზაცია. 12 ივნისს ირაკლი ალასანია გაეროში საქართველოს ელჩად დაინიშნა, ხოლო 21 ივლისს გოგა ხაინდრავა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – მერაბ ანთაძემ ჩაანაცვლა.[51] შიდა დამაბრკოლებელი ფაქტორების მოხსნის შემდეგ აფხაზეთის მიმართ მიდგომები ფუნდამენტურად შეიცვალა. ივლისის ბოლოსვე საქართველოს სამხედრო ძალებმა კოდორში ანტიკრიმინალური ოპერაცია ჩაატარეს. სინამდვილეში, ეს ნაბიჯი მიზნად სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე სრული კონტროლის დამყარებას ისახავდა მიზნად, რისი ლეგიტიმაციისთვისაც კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ დაერქვა და იქ ფიზიკურად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობა განთავსდა. კოდორში ქართველი სამხედროების შეყვანა სოხუმმა აგრესიად და 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევად შეაფასა.[52]

2006 წლის ივლისის მოვლენებმა მანამდე მიღწეული პროგრესი ბოლომდე დაჩრდილა. პოლიტიკური კავშირების შესუსტება კი პირდაპირ აისახა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გაუარესებაზე.[53] მოსკოვთან თბილისის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების ფონზე კი სამხრეთ ოსეთის მსგავსად აფხაზეთის კონფლიქტმაც ქართულ-რუსულ ჭრილში დაიწყო გადასვლა. ნოემბერში დაწყებული შიდა პოლიტიკური არეულობის დროს კონფლიქტების გარშემო პოპულისტური რიტორიკის გაძლიერება შეინიშნებოდა. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიხეილ სააკაშვილმა, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან განაცხადა, რომ მისი ხელახლა არჩევის შემთხვევაში ისინი „შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის

---

[48] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 26.06.2006
[49] http://www.kapba.de/KeyToTheFuture.html
[50] თბილისი აფხაზეთის სამშვიდობო გეგმის ძირითად პრინციპებს აქვეყნებს, Civil.ge, 09.06.2006. http://www.civil.ge/geo/article.php?id=12847
[51] http://www.civil.ge/geo/article.php?id=14564
[52] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 28.09.2006
[53] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 11.01.2007

პირობებში“ გაატარებდნენ და უახლოეს თვეებში, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, შეიქმნებოდა პირობები აფხაზეთში მათი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის.[54]

ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ რუსეთმა ღიად დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან სამხედრო და პოლიტიკური კავშირების ლეგალიზება,[55] რასაც აფხაზეთში სამხედრო დაზვერვის აქტიურობის და პროვოკაციების ზრდაც მოჰყვა. ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მექანიზმების მოშლისა და დაძაბულობის ესკალაციის პარალელურად, არაერთი მცდელობა იყო ადგილზე სიტუაციის განსამუხტად. მოლაპარაკებების განახლების ბოლო მცდელობა გერმანიის ინიციატივით 30 ივნისს, ბერლინში გამართულ მეგობართა ჯგუფის შეხვედრაზე შემუშავებული სამეტაპიანი გეგმა აღმოჩნდა, რომელიც „შტაინმაიერის გეგმის“ სახელითაა ცნობილი.[56] სოხუმსა და თბილისს გეგმა განსახილველად არ მიუღიათ, ვინაიდან ის არ ასახავდა იმ მომენტისთვის ყველაზე „ცხელ“ პოლიტიკურ პრობლემებს. შტაინმაიერის გეგმის წარდგენიდან მალევე კი სრულიად მსოფლიოს ყურადღება ცხინვალის რეგიონზე გადავიდა.

ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი 2012 წლამდე

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, 12 აგვისტოს, მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი მედვედევის მიერ, ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან გეგმაზე შეთანხმებით დასრულდა.[57] ეს შეთანხმება საქართველოსთვის სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობის დასაწყისს მოასწავებდა. გარდა იმისა, რომ ომმა ქვეყანას უზარმაზარი ადამიანური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა, ოკუპაციის ხაზის მიღმა აღმოჩნდა ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა. ასევე დასამარდა ორმხრივი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესებიც. 26 აგვისტოს რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი,[58] რომლებიც 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა, რის საფუძველზეც თბილისმა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობები შეაჩერა.[59] მომდევნო დღეს, საქართველომ აამოქმედა რუსული სამშვიდობო

---

[54] სააკაშვილი დევნილებს აფხაზეთში დაბრუნებას „უახლოეს თვეებში“ ჰპირდება, Civil.ge, 28.11.2007. http://www.civil.ge/geo/article.php?id=16818

[55] International Crisis Group, Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, Europe Report N°193 – 05.06. 2008, p. 2

[56] აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გერმანია ლიდერის როლს კისრულობს, Civil.ge, 17.07.2008. http://www.civil.ge/geo/article.php?id=18817

[57] ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე მომზადებული ექვსპუნქტიანი გეგმა, Civil.ge, 17.08.2008. http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157

[58] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 03.10.2008

[59] UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 03.10.2008

ოპერაციების შეწყვეტის მექანიზმებიც და ცალმხრივად გამოვიდა 1992 წლის სოჭის და 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებებიდან, რომლებიც ექვსპუნქტიანმა შეთანხმებამ ჩაანაცვლა.[60] ამით წარსულს ჩაბარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების დარეგულირების თექვსმეტწლიანი პოლიტიკური და სამართლებრივი ბაზა, რომლის ბოლო აკორდადაც 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ მიღება იქცა.

თბილისმა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით, ახალ რეალობასთან ადაპტაცია რამდენიმე მიმართულებით დაიწყო. უპირველესად, მოხდა სამშვიდობო პროცესის მთლიანად რუსეთ-საქართველოს გარშემო ინსტიტუციონალიზაცია. მთელი ძალისხმევით დაიწყო იმ ნარატივის წინ წამოწევა, რომლის მიხედვით არ არსებობდა ქართულ-აფხაზური/ოსური კონფლიქტი და ერთადერთი, ვისთანაც საქართველო კონფლიქტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რუსეთის ფედერაცია იყო.[61] მეორე მიმართულება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებისა და მხარდაჭერის მოპოვება იყო.

2008 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ოფიციალურად გამოიგზავნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), რომელიც 200-მდე შეუიარაღებელი სამოქალაქო დამკვირვებლისგან დაკომპლექტდა.[62]

15 ოქტომბერს კი ჟენევაში სტარტი აიღო 3+3 ფორმატის საერთაშორისო მოლაპარაკებებმა, რომელიც აბსოლუტურად ყველა მხარეს აერთიანებდა მოლაპარაკებების მაგიდასთან. შეხვედრის თანათავმჯდომარეებად დაინიშნენ ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები, მონაწილეებად კი ჩაერთნენ საქართველო, რუსეთი და აშშ. მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ისევე როგორც სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებს. საქართველოსთვის მიუღებელი იყო რუსეთის წინადადება ამ უკანასკნელთა დისკუსიებში თანასწორი სტატუსით ჩართვის შესახებ, შედეგად დამტკიცდა კომპრომისული მოდელი, რომლის მიხედვით შეიქმნა ერთი ოფიციალური და ორი არაოფიციალური ფორმაცია: პლენარული სესია, სადაც მედიატორები შეიკრიბებოდნენ ქართულ, რუსულ და ამერიკულ დელეგაციებთან ერთად და არაოფიციალური, ნეიტრალური სტატუსის მქონე ორი პარალელური სამუშაო ჯგუფი.[63] ამ ორი ჯგუფიდან პირველის ფარგლებში დღემდე განიხილება რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და აფხაზეთსა და ცხინვალის

---

[60] საქართველომ რუსული სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის მექანიზმები აამოქმედა, Civil.ge. 29.08.2008. http://www.civil.ge/geo/article.php?id=19345&search=

[61] Gegeshidze Archil, New realities after August 2008. In Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, p. 34

[62] https://eumm.eu/data/image_db_innova/EUMM%20Factsheet%20GEO%202017%20NOV.PDF

[63] Macharashvili Nana, Basilaia Ekaterine, Samkharadze Nikoloz, Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2016, p. 29.

რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა, ხოლო მეორეში – იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პრობლემა და სხვადასხვა ჰუმანიტარული საკითხები.[64] ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების დაწყებით საფუძველი ჩაეყარა ომისშემდგომ პირველ ოფიციალურ სამშვიდობო მექანიზმს.

2009 წლის თებერვალში, ჟენევის მოლაპარაკებების მე-4 რაუნდზე, კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის სტაბილურობის მიზნით ჩამოყალიბდა დამატებითი ფორმატი, რომელსაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) ეწოდა.[65] მოცემული პლატფორმა, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ამოქმედდა, მიზნად ისახავდა ადგილზე ყოველდღიური ინციდენტების განხილვასა და ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფას. დროთა განმავლობაში IPRM მართლაც უმნიშვნელოვანეს მექანიზმად ჩამოყალიბდა, ვინაიდან ომის შემდგომ წლებშიც გალის რაიონსა და ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სოფლებთან არ შეწყვეტილა შეიარაღებული პროვოკაციები და ადამიანების გატაცებები.

ოფიციალური დიალოგის დაწყების მიუხედავად, ცხადი გახდა, რომ რუსეთი არ აპირებდა ექვსპუნქტიანი გეგმის შესრულებას, კერძოდ კი, კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შეშვებას და იქიდან საკუთარი ჯარების გაყვანას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთმა დაიწყო ახალი სამხედრო ბაზების განთავსება, ხოლო 2009 წლის შემოდგომისთვის მას უკვე სრულად ჰქონდა ამოქმედებული პირდაპირი ხაზი დე-ფაქტო რეჟიმებთან ე.წ. საელჩოების გახსნით. გარდა ამისა, საერთაშორისო დონეზე დამატებითი ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად, რუსეთმა დაიწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პარტნიორი ქვეყნების სიის გაფართოება.

ამ გამოწვევების საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ, ერთი მხრივ, დაიწყო ე.წ. არაღიარების პოლიტიკა, რომლის მიზნადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების პრევენცია განისაზღვრა გაეროს წევრ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.[66] მეორე მხრივ კი, შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“[67] და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.[68] სტრატეგიაში აღინიშნა, რომ საქართველო ირჩევდა „ადამიანზე ორიენტირებული (ჰუმანოცენტრული), პროაქტიური პოლიტიკის“ გატარებას. დოკუმენტში ასახული ინიციატივების უდიდესი ნაწილი რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა, რაც უმთავრესად ახალი სტრატეგიის მიმართ სოხუმისა და ცხინვალის უარყოფითი განწყობებით იყო გამოწვეული. ამასთან, ადგილზე რუსეთის გავლენის ზრდამ მნიშვნელოვნად შეასუსტა

---

[64] http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Jeneva-Talks.aspx
[65] http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Jeneva-Talks.aspx
[66] https://www.radiotavisupleba.ge/a/diplomatic_relations/24558388.html
[67] http://smr.gov.ge/Uploads/__7db17f7a.pdf
[68] http://smr.gov.ge/Up-loads/__94d96fb2.pdf

ამ რეგიონების პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ბმა დანარჩენ საქართველოსთან.

შესაბამისად, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებიდან რამდენიმე წელში უკვე ნათელი გახდა, რომ ჩართულობის სამოქმედო გეგმიდან მხოლოდ რამდენიმე ასპექტი მუშაობდა. გარდა ამისა, 2010 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა", რამაც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს საშუალება მისცა უფასო სამედიცინო მომსახურებით ესარგებლათ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.[69] სოციალური სერვისების მეტ-ნაკლებად ამოქმედების მიუხედავად სრული უძრაობა შეიმჩნეოდა სამშვიდობო პროცესის პოლიტიკურ ასპექტში. შედეგად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ, რომელსაც 2004-2006 წლებში კონფლიქტების დარეგულირების არაერთი შანსი მიეცა, მმართველობა იმედგაცრუებითა და ანტაგონიზმით დაასრულა.

ქართული ოცნების სამშვიდობო პოლიტიკა

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" კოალიციის გამარჯვებამ საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების კუთხით პოლიტიკის გადახედვის შანსი მისცა. „ქართული ოცნება" ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე იაზრებდა, რომ 2008 წლის შემდგომი ვითარება მარტივად ვერ შეიცვლებოდა, რაც ნაკლებად ამბიციურ, თუმცა, პრაგმატულ წინასაარჩევნო პროგრამაში აისახა.[70]

ახალ მინისტრთა კაბინეტში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის დიდი ხნის მონაწილემ – პაატა ზაქარეიშვილმა ჩაიბარა. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა აფხაზებისა და ოსებისთვის კარგად ნაცნობი ირაკლი ალასანია. ამასთან „ქართული ოცნების" ხედვით დაუყოვნებლივ საჭირო იყო რუსეთთან ურთიერთობების დალაგების დაწყებაც, რისთვისაც ახალი ფორმატის შემუშავება გახდა საჭირო.[71]

შეზღუდული სამოქმედო არეალის პირობებში, ახალმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, სოხუმსა და ცხინვალთან ორმხრივი კავშირების სტიმულირება დაისახა მიზნად, რაც, ერთი მხრივ, ამ რეგიონებში რუსეთის პოლიტიკური გავლენის შესუსტების, მეორე მხრივ კი, ქვეყანაში გამეფებული „ერთი კონფლიქტის" დისკურსის ცვლილების საწინდარი უნდა გამხდარიყო. ძალაუფლების მიღებიდან პირველივე წელს, „ქართულმა ოცნებამ" ამ მიმართულებით რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგა. თუმცა, ახალი ინიციატივების

---

[69] http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3372.pdf

[70] http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf

[71] MacFarlane Neil S. Two Years of the Dream: Georgian Foreign Policy During the Transition, Chatham House, 2015, p.12

მიუხედავად, მალევე ნათელი გახდა, რომ სისტემურ დონეზე საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა დიდად ვერ შეიცვლებოდა, ვინაიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული ოკუპაციის კიდევ უფრო გაძლიერება საქართველოს მთავრობას ძველებურად რეაქციულ და კრიზისულ სამუშაო რეჟიმში ამყოფებდა. 2013 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის „საზღვრის“ დემარკაციის მიზნით, რუსმა სამხედროებმა ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი დაიწყეს, რასაც უამრავი ახალი საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო მიწების მიტაცება მოჰყვა.[72] გარდა ამისა, საგრძნობლად იმატა გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიიდან ადამიანთა გატაცებებმა და უკანონო დაკავებებმა.[73] ამას დაემატა „ქართულ ოცნებაში“ გუნდური კონსოლიდაციის სისუსტე და გაბედული ნაბიჯების გადადგმის სურვილის არქონა, რის გამოც ახალი ხელისუფლების მუშაობა მთლიანად სტატუს-კვოს შენარჩუნებას დაეფუძნა, რაც ისევ არაღიარების პოლიტიკისა და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას მოიცავდა.

2014 წლის ივნისში სამშვიდობო პროცესებში ახალი ენერგიის შეტანის იმედი გაჩნდა, როდესაც საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ყველა ის მნიშვნელოვანი პრივილეგიები, რომელიც ქვეყანას ამ ხელშეკრულებით ეძლეოდა, ქართულმა მხარემ ცხინვალსა და სოხუმსაც შესთავაზა.[74] პოზიტიური რეაქციის ნაცვლად თბილისმა მორიგი დიპლომატიური დარტყმა მიიღო. მოსკოვმა სოხუმთან „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“[75], ხოლო ცხინვალთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“[76] ხელშეკრულებები გააფორმა.

რუსეთის მხრიდან ამ მასშტაბის დესტრუქციული ნაბიჯის შემდეგ შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა იმის გააზრება, რომ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები სრულ ეროზიას განიცდიდა. ხშირად დღის წესრიგით განსაზღვრულ თემებზე საუბრის ნაცვლად, ორდღიანი შეხვედრების დიდი ნაწილი ტექნიკური საკითხების პოლიტიზირებაზე იხარჯებოდა. ამ ვითარებაში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღდგენის პროცესი შეფერხდა.

შედეგად „ქართული ოცნების“ სამშვიდობო პოლიტიკა მასშტაბური შედეგების გარეშე მიმდინარეობს. მის უმთავრეს მონაპოვრად „პროგრამა მინიმუმის“ შესრულება იქცა, რაც ე.წ. ნეგატიურ მშვიდობაში, ანუ დაძაბულობის დეესკალაციასა და ახალი კონფლიქტის პრევენციაში გამოიხატება. ეს მინიმალური მიღწევა კი ორ ახალ გარემოებაზე მიანიშნებს: საქართველოს ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტა არსებულ სამშვიდობო ფორმატში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, ხოლო საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა სულ უფრო გადავიდა ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტში და სულ უფრო დაშორდა თბილისს.

---

[72] Boyle Edward, Borderization in Georgia: Sovereignty Materialized, Kyushu University, 2016, p. 2
[73] Boyle Edward, Borderization in Georgia: Sovereignty Materialized, Kyushu University, 2016, p. 2
[74] http://www.interpressnews.ge/ge/politika/285992?ar=A
[75] http://kremlin.ru/supplement/4783
[76] http://kremlin.ru/supplement/4819